ხვალ მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

1 ივნისი ბავშვებს მიულოცეს აღმზრდელ-მასწავლებლებმა.

1.1 ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აუცილებელია, ვისაუბროთ ქვეყანაში ბავშვთა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თითოეული ჩვენგანის როლზე.

1.2 დავიცვათ ბავშვთა უფლებები, მოვახდინოთ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, რათა გაძლიერდეს ზრუნვა ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და მათი აღზრდა-განვითარებისათვის!

1.3 ბავშვთა უფლებების დაცვის დღე თითოეულ ჩვენგანს აძლევს ბავშვთა უფლებების აღნიშვნის შესაძლებლობას, რომელიც ბავშვებისათვის უკეთესი სამყაროს შექმნის საწინდარია, მაგრამ ამასთან არ უნდა დაგავიწყდეთ თქვენი მოვალეობები!

1.4 ყველას გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და წინსვლას ვუსურვებ ყველა ბავშვს ჩვენს ქვეყანაში.

იყავით ოჯახის, ერის, სამშობლოს ერთგულნი; ღირსებით გევლოთ ცხოვრების უსწორმასწორო გზაზე, თითოეული თქვენგანი ყოფილიყავით:

„ის ურჩევნია მამულსა,

რომ შვილი სჯობდეს მამასა!..“

„გიყვარდეთ სამშობლო, სიმართლე გიყვარდეთ,

გიყვარდეთ, გიყვარდეთ წიგნი,

რაც უნდა ისურვოთ, რაც უნდა ინატროთ

ესაა ყველაზე დიდი!“...

ჩვენ კი, ჩვენდა თავად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის რომ გზად და ხიდად გამოვადგეთ მათ, რათა მათ *„სიძნელე გზისა გაუადვილდეს!“*

ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენს შვილებს თანასწორ და უსაფრთხო გარემოში ჰქონდეთ ხარისხიანი განათლების მიღების უფლება და საშუალება.

იყავით წარმატებულნი როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებით ასპარეზზე.

და ბოლოს ... ...

„ღმერთმა გიკურთხოთ წყალი და პური,

გქონოდეთ წმინდა და სუფთა სული,

არ მიაკაროთ გონებას შური,

მკერდში გიცემდეთ კეთილი გული...

ცხოვრება გქონდეთ ნათელ-მბრწყინავი,

როგორიც არის წმიდა სანთელი,

იესოს ლოცვა გზას გიკვალავდეთ

და მარიამის კალთა გფარავდეთ!“

სკოლის საქმისმწარმოებელი --- რიმა გაწერელია